საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №215/04
2023 წლის 4 აგვისტო

ქ. თბილისი

„საქართველოს კომერციული ბანკებისათვის საერთაშორისო ტრანზაქციების ანგარიშგების სისტემის ფორმების და მათი შევსების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2008 წლის 29 დეკემბრის №362 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს კომერციული ბანკებისათვის საერთაშორისო ტრანზაქციების ანგარიშგების სისტემის ფორმების და მათი შევსების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2008 წლის 29 დეკემბრის №362 ბრძანებაში (სსმ III, 30.12.2008, №186, მუხ.1950) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საერთაშორისო ტრანზაქციების ანგარიშგების სისტემის ფორმების და მათი შევსების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

2. ბრძანების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.** დამტკიცდეს კომერციული ბანკების და მიკრობანკების (შემდგომში – ბანკი):

ა) საერთაშორისო ტრანზაქციების ანგარიშგების სისტემის (ITRS) ფორმები – დანართი №1 და დანართი №2-ის შესაბამისად;

ბ) ეროვნული ბანკისადმი წარსადგენი საერთაშორისო ტრანზაქციების ანგარიშგების სისტემის ITRS ფორმის შესაბამისი Xml ფაილის და მისი ველების მოკლე აღწერა – დანართი №3-ის შესაბამისად;

გ) ბანკის ანგარიში საქართველოს არარეზიდენტებთან ფინანსური ოპერაციების შესახებ - ფორმა №1-ის შევსების ინსტრუქცია დანართი №4-ის შესაბამისად.

3. ბრძანების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 3**. ბანკებმა უზრუნველყონ ეროვნულ ბანკში წარსადგენი სტატისტიკური ინფორმაციის უტყუარობა და დადგენილ ვადებში ეროვნული ბანკისათვის მიწოდება.“.

4. ბრძანებით დამტკიცებული დანართი №1, დანართი №2, დანართი №3 და დანართი №4 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართების შესაბამისად.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის
პირველი ვიცე-პრეზიდენტი/
საქართველოს ეროვნული ბანკის **ნათელა თურნავა**
პრეზიდენტის მოვალეობის
შემსრულებელი